ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გასიტაშვილი - კოლეგიის წევრი

ციცინო ცხვედიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.04.2014

საჩივრის რეგისტრაციის №038/14

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ნ. დ-ს მიმართ /სიითი № ----/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. დ-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 29 აპრილს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. გ-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. დ-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ნ. დ. იცავს მისი ძმის - გ. ნ-ს ინტერესს მათ შორის სამკვიდროს გაყოფასთან დაკავშირებით წარმოშობილ სამემკვიდრეო დავაში. მის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარესთან ბინის წილის შესყიდვის თაობაზე მოლაპარაკებები უშედეგოდ მთავრდებოდა ადვოკატის პირადი დაინტერესების გამო.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წლის 15 აგვისტოს წერილობითი შეთანხმება გააფორმა თავის ძმასთან ბინის ½ წილის შესყიდვის თაობაზე. შეთანხმების გაფორმებიდან 2-3 საათის

შემდეგ მას დაურეკა გამომძიებელმა და სთხოვა პოლიციის განყოფილებაში მისვლა, რადგან მასთან შევიდა განცხადება, სადაც ნ. დ. და გ. ნ. მას თაღლითობაში ,,ამხელდნენ".

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, წარდგენილ განცხადებაზე დაიწყო მოკვლევა და გაგრძელდა 2 თვემდე. მეორე მხარე არ დაელოდა გამოძიების დასრულებას და მეორე დღესვე, 16 აგვისტოს გაასხვისა ქონების ½ წილი, ვინმე მ. მ-ზე 16 000 (თექვსმეტი ათასი) ლარად. შემდეგ აღნიშნულმა პირმა ბინა გაასხვისა ადვოკატ ნ. დ-ზე, რომელმაც საბოლოოდ ქონება იპოთეკით დატვირთა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ქონების პირველი შემძენი - მ. მ., რომელმაც ბინა შემდეგ ნ. დ-ს გადასცა, არის ნ. დ-ს ნათესავი.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ნ. დ-მ მას დაურეკა და უთხრა, რომ თუ თანხას არ გადაუხდიდა, ბინას აუქციონზე გაიტანდა მაშინ, როდესაც მან არც კი იცოდა იმის შესახებ, რომ ქონების ½ ნაწილი გასხვისებული და იპოთეკით დატვირთული იყო. მისი მოსაზრებით, თუ ადვოკატი მართალია, პირდაპირ გაიტანდა ბინას აუქციონზე და მას არ დაურეკავდა თანხის მოთხოვნით.

1.6 ლ. გ-მ 2014 წლის 09 ივლისს წარმოდგენილ დამატებით განცხადებაში მიუთითა, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ მან თავის ძმას 7 000 (შვიდი ათასი) აშშ დოლარი გადაუხადა, სწორედ ამიტომ, თავს უფლება მისცა, რომ ნოტარიუსთან მისულიყო ბინის თავის სახელზე დასარეგისტრირებლად. საჩივრის ავტორის განცხადებით, ნოტარიუსმა მას განუმარტა, რომ სხვა მემკვიდრის განცხადება არ იყო სანოტარო ბაზაში დარეგისტრირებული და ქონება მას დაურეგისტრირა. ამიტომ, მისთვის გაურკვეველია მოგვიანებით საიდან გაჩნდა მისი ძმის განაცხადი ბაზაში.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ნ. დ-ს მიზანი იყო მისი ბინის მისაკუთრება და ამის მისაღწევად მან გამოიყენა მარწმუნებელი, რომელსაც ადვოკატმა დანაშაული ჩაადენინა.

1.8 2015 წლის 23 იანვრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატმა მას მიაყენა მორალური და მატერიალური ზიანი, ადვოკატის ქმედების შედეგად მასსა და მის ძმას შორის ურთიერთობა დაიძაბა და მორიგება ვერ შედგა. ადვოკატი მის ძმას ურჩევდა, რომ დაეჯერებინა მისთვის და არა საჩივრის ავტორისათვის, თუმცა მასსა და მის ძმას შორის საქმეში ადვოკატის ჩართვამდეც დაძაბული ურთიერთობა იყო.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს მისდამი აქვს ცინიკური დამოკიდებულება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. დ-მ 2014 წლის 15 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის თანახმადაც, არ ეთანხმება ლ. გ-ს საჩივარს. ადვოკატის განმარტებით, 2011 წლის 20 მაისს გარდაიცვალა საჩივრის ავტორის დედა. გარდაცვალებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ მასთან მივიდა საჩივრის ავტორის ძმა და სთხოვა, რომ დახმარებოდა დედის დანატოვარი სამკვიდრო ქონების ნახევრის მიღებაში. ადვოკატის განმარტებით, დედის სახლში ცხოვრობდა საჩივრის ავტორი, რომელმაც ძმა გამოაგდო სახლიდან.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ის საჩივრის ავტორის ძმას გ. ნ-ს შეპირდა სათანადო იურიდიულ დახმარებას, მისგან მიიღო მინდობილობა, რომლის საფუძველზეც მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა სამკვიდრო ქონების ½ ნაწილზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა.

2.3 ადვოკატის განცხადებით, 2011 წლის 23 ნოემბერს, სამკვიდროს გახსნიდან 6 (ექვს) თვიანი ვადის გასვლის შემდეგ ის მივიდა იმავე ნოტარიუსთან, ვისთანაც დატოვა განცხადება სამკვიდრო მოწმობის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, ნოტარიუსმა მას განუმარტა, რომ მთლიან და ნაშთ ქონებაზე უკვე იყო გაცემული სამკვიდრო მოწმობა ლ. გ-ს სასარგებლოდ. შემდეგ მან მიმართა საჩივრის ავტორისათვის მოწმობის გამცემ ნოტარიუსს და განუმარტა, რომ ლ. გ-ს ჰყავდა ძმა, რომელმაც ასევე ვადაში წარადგინა განცხადება ნოტარიუსთან და ლ. გ–ს სახელზე არასწორად გაიცა სამკვიდრო მოწმობა მთელ ქონებაზე. ადვოკატის განცხადებით, მას ნოტარიუსმა უთხრა, რომ ლ. გ-მ შეცდომაში შეიყვანა, რადგან სამკვიდროს მიღების განცხადებაში არ მიუთითებია ძმის არსებობის შესახებ.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ნოტარიუსმა სასწრაფოდ გამოიტანა დადგენილება თავის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმების შესახებ და თავადვე წაიღო აღნიშნული დადგენილება საჯარო რეესტრში, რათა ლ. გ-ს ვერ მოესწრო სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე ქონების თავის სახელზე რეგისტრაცია.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მემკვიდრეთა შორის დავის არსებობის გამო სამკვიდრო მოწმობა აღარ გაიცა და მან მიმართა სასამართლოს. მიუხედავად ლ. გ-ს განცხადებისა, რომ ქონება მისი შეძენილი იყო და ძმისთვის საფასური გადახდილი ჰქონდა, სასამართლომ გ. ნ. ცნო ქონების ½ ნაწილის მემკვიდრედ. ადვოკატის განმარტებით, ლ. გ. ფაქტობრივად ფლობდა ქონებას და ძმას არ აძლევდა საკუთარი წილით სარგებლობის უფლებას, ამიტომაც გ. ნ-ს სარჩელის საფუძველზე სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საზიარო უფლების გაუქმების და საზიარო საგნის აუქციონზე რეალიზაციის შესახებ. ადვოკატის განცხადებით, ლ. გ-მ იცოდა რა, რომ სასამართლო საგნის რეალიზაციას გადაწყვეტდა თავისი წილი იპოთეკით დატვირთა თავისი შვილის სახელზე. რეალურად იპოთეკა ფიქტიური იყო და მიზნად ისახავდა რეალიზაციის გართულებას, რეალიზაციის შემთხვევაში კი 17 000 (ჩვიდმეტი ათასი) აშშ დოლარის როგორც იპოთეკის თანხის მიღებას.

2.6 ადვოკატის განცხადებით, 2013 წლის 11 აგვისტოს მას დაუკავშირდა ლ. გ., განუმარტა, რომ ძმის წილის შესყიდვა უნდოდა 18 000 (თვრამეტი ათასი) აშშ დოლარად და რადგან მასთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ადვოკატს სთხოვა, რომ აღნიშნული შეთავაზება გადაეცა კლიენტისთვის.

2.7 ადვოკატის განმარტებით, 14 აგვისტოს გ. ნ-სთან ერთად ლ. გ-ს შეხვდა საჯარო რეესტრთან. მას თან ახლდა უცნობი ქალი, რომელზეც ლ. გ-მ განაცხადა, რომ ფული ამ ქალს უნდა გადაეხადა, რადგან ის თავის წილზე უფორმებდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას. ადვოკატის განცხადებით, მან იეჭვა, რომ ლ. გ. გ. ნ–ს მოტყუებას აპირებდა და გადაწყვიტა კლიენტი გაეფრთხილებინა.

2.8 ადვოკატის განცხადებით, საჯარო რეესტრში რეგისტრატორთან პირადობის მოწმობების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მისი კლიენტის პირადობის მოწმობას ვადა ჰქონდა გასული.

ამასობაში, ის ქალი, რომელიც გ–ს ახლდა, იქ აღარ იყო. ადვოკატის განცხადებით, მან კლიენტი გააფრთხილა, რომ ყურადღებით ყოფილიყო, რათა საკუთარ დას არ მოეტყუებინა.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მეორე დღეს, 15 აგვისტოს მას კლიენტმა დაურეკა და უთხრა, რომ ლ. გ–მ ის მოატყუა, მიიყვანა ნოტარიუსთან, შეადგინა შეთანხმება თითქოს ქონების ½ წილის სანაცვლოდ გ. ნ–მ მიიღო 18 000 (თვრამეტი ათასი) აშშ დოლარი, თუმცა რეალურად მას თანხა არ მიუღია. ადვოკატის განცხადებით, ამის შესახებ მან მაშინვე დაუწერა განცხადება კლიენტს პოლიციაში შესატანად.

2.10 ადვოკატის განცხადებით, მეორე დღეს მასთან მივიდა გ. ნ. და მიიყვანა ნ. დ–ს მეუღლის ნათესავი, მ. მ.. კლიენტმა მას უთხრა, რომ მ. მ–სთვის უნდა მიეყიდა თავისი წილი. ადვოკატის განცხადებით, მან მხარეებს ნასყიდობის ხელშეკრულება შეუვსო და მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობის ფასი საკმაოდ დაბალი იყო, მას მხარეებისთვის ამის თაობაზე არაფერი უკითხავს.

2.11 ადვოკატის განცხადებით, მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან დაახლოებით სამი თვის შემდეგ, 2013 წლის 25 ნოემბერს მასთან მივიდა მ. მ., რომელმაც უთხრა, რომ გ. ნ. თავისი წილის გამოსყიდვას არ აპირებდა, ხოლო მ. მ–ს ფული სჭირდებოდა, რადგან ვალი ჰქონდა გადასახდელი. ადვოკატის განცხადებით, მან ფული ისესხა ნათესავისგან და მ. მ–სგან შეისყიდა ბინის ½ წილი.

2.12 ადვოკატის განცხადებით, მას თავისი ქცევით არ დაურღვევია ეთიკის ნორმები. ლ. გ. მისი კლიენტი არ იყო, ამიტომ მის მიმართ არანაირი ვალდებულებები არ გააჩნდა. ადვოკატის განმარტებით, ლ. გ. მასზე გაბრაზებულია, რადგან ადვოკატმა მას ხელი შეუშალა უკანონო მიზნების განხორციელებაში.

2.13 ადვოკატის განცხადებით, ამჟამად ლ. გ–ს სასამართლოში სარჩელი აქვს შეტანილი და ითხოვს გ. ნ–ს და მ. მ–ს შორის, ასევე მ. მ–ს და ნ. დ–ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობას.

2.14 2015 წლის 23 იანვარს ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც ვრცლად აქვს მითითებული საკუთარ ახსნა-განმარტებაში და დამატებით განმარტა, რომ საჩივრის ავტორისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

3. დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2014 წლის 10 ივლისს მეორე საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ ნ. დ–ს მიმართ.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნ. დ–მ კლიენტის ინტერესების დაცვა განახორციელა კანონიერების პრინციპის დაცვის გარეშე, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტი; მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი და მე-6 მუხლის პირველი პუნქტი; ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი და მე-5 მუხლი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფატობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:
საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატი ნ. დ. არის საჩივრის ავტორის - ლ. გ–ს პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ლ. გ–ს 2014 წლის 29 აპრილის საჩივარი (ს.ფ. 1-2)
2. ლ. გ–ს 2014 წლის 09 ივლისის განცხადება (ს.ფ. 88-91)
3. ნ. დ–ს 2014 წლის 15 მაისის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 38-39)
4. ნ. დ–ს 2014 წლის 30 ივნისის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 65-68)
5. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2015 წლის 23 იანვრის სხდომის ოქმი (ს.ფ. 161-162)

4.1.2 ლ. გ–სა და მის ძმას - გ. ნ–ს შორის მიმდინარეობს დავა სამკვიდრო ქონების გაყოფასთან დაკავშირებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ლ. გ–ს 2014 წლის 29 აპრილის საჩივარი (ს.ფ. 1-2)
2. ლ. გ–ს 2014 წლის 09 ივლისის განცხადება (ს.ფ. 88-91)
3. ნ. დ–ს 2014 წლის 15 მაისის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 38-39)
4. ნ. დ–ს 2014 წლის 30 ივნისის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 65-68)
5. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება N . (ს.ფ. 120-127)
6. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2015 წლის 23 იანვრის სხდომის ოქმი (ს.ფ. 161-163)

1.1.3 საჩივრის ავტორსა და მის ძმას შორის მორიგება ვერ შედგა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ლ. გ–ს 2014 წლის 29 აპრილის საჩივარი (ს.ფ. 1-2)
2. ლ. გ–ს 2014 წლის 09 ივლისის განცხადება (ს.ფ. 88-91)

3. ნ. დ–ს 2014 წლის 15 მაისის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 38-39)

4. ნ. დ–ს 2014 წლის 30 ივნისის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 65-68)

5. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2015 წლის 23 იანვრის სხდომის ოქმი (ს.ფ. 161-163)

1.1.4 საჩივრის ავტორის პროცესუალურმა მოწინააღმდეგე მხარემ სადავო ბინის ½ ნაწილი მიყიდა მ. მ–ს, რომლისგან აღნიშნული ბინა შეიძინა ადვოკატმა ნ. დ–მ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. ლ. გ–ს 2014 წლის 29 აპრილის საჩივარი (ს.ფ. 1-2)

2. ლ. გ–ს 2014 წლის 09 ივლისის განცხადება (ს.ფ. 90)

3. ნ. დ–ს 2014 წლის 15 მაისის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 38-39)

4. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2015 წლის 23 იანვრის სხდომის ოქმი (ს.ფ. 161-163)

1.1.5 ადვოკატ ნ. დ–ს საჩივრის ავტორისათვის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2015 წლის 23 იანვრის სხდომის ოქმი (ს.ფ. 163)

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. დ–ს მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. დ–ს მიერ დარღვეული არ არის შემდეგი ნორმები:

6.1.1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი: ,,ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“.

6.1.2. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

6.1.3. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი: „ ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.”

6.1.4. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–2 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი ზეგავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს.“

6.1.5. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

6.2 ადვოკატმა, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელმა, კანონიერების პრინციპის დაცვით, ყველაფერი უნდა გააკეთოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

6.3 ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატი იღებს ვალდებულებას კლიენტის სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულებები სათანადოდ დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

6.4 კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი საადვოკატო საქმიანობაში ერთ-ერთი მთავარი სახელმძღვანელო პრინციპია, ვინაიდან ადვოკატი, როგორც კლიენტის საუკეთესო ინტერესების დამცველი, კლიენტის ინტერესებს პირად და სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა აყენებდეს.

6.5 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №057/10, დაადგინა: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“

6.6 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის განმარტებით, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატს არა თუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულია გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. ამასთან, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს ორიენტირებული კლიენტზე და მიზნად ისახავდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება, მაგრამ ადვოკატი, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი, თავად ირჩევს კლიენტის დაცვის სტრატეგიას ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

6.7 ეთიკის კომისიამ 2013 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №041/13, განმარტა, რომ: „ადვოკატი, როგორც დამოუკიდებელი პროფესიის წარმომადგენელი,

კლიენტთან შეთანხმებით, თავად განსაზღვრავს, თუ მოქმედების რა ტაქტიკას აირჩევს და კლიენტის წარმომადგენლობისას მისი ინტერესების დასაცავად რა მოთხოვნებს დააყენებს."

6.8 განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი ნ. დ. ახორციელებდა საჩივრის ავტორის ლ. გ–ს ძმის – გ. ნ–ს წარმომადგენლობას დასა და ძმას შორის არსებულ სამემკვიდრეო დავაში. ნ. დ–ს მარწმუნებელს - გ. ნ–ს ადვოკატის მიერ განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებით პრეტენზია არ აქვს. საადვოკატო საქმიანობის არსი და პროფესიული ბუნება ორიენტირებულია კლიენტის ინტერესების დაცვაზე; ადვოკატი, საკუთარი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველთვის ატარებს პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის საპირისპირო ინტერესს. შესაძლებელია მოწინააღმდეგე მხარეს არ მოსწონდეს ის მეთოდი, რომლითაც ადვოკატი თავის კლიენტს იცავს, მაგრამ დაცვის სტრატეგიის არჩევა ადვოკატისა და მისი კლიენტის შეთანხმებით ხორციელდება. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ მხარეთა მოსმენისას დაადგინა, რომ ლ. გ. და მის ძმას - გ. ნ–ს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო სამკვიდროს თაობაზე საქმეში ადვოკატ ნ. დ–ს ჩართვამდე. შესაბამისად, განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა ხელი შეუშალა მასსა და მის ძმას შორის სადავო საკითხთან დაკავშირებით მორიგებას.

6.9 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №075/10, დაადგინა: "ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარეს."

6.10 ეთიკის კომისიის 2015 წლის 23 იანვრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატს მისთვის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

6.11 განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 2014 წლის 07 ივლისის დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე გადაწყვეტილების 5.7 პუნქტს, რომელშიც მითითებულია: "1. გაუგებარია გ. ნ–სა და მ. მ–ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შემდეგ, რატომ ითხოვდა მ. მ. გ. ნ–საგან წილის უკან გამოსყიდვას და თანხის დაბრუნებას, რისი ვალდებულებაც ამ უკანასკნელს არ ჰქონდა, რაც თავის მხრივ, ეჭვს ბადებს ამ გარიგების ნამდვილობასთან დაკავშირებით. 2. თუ ადვოკატი ნ. დ. (მისივე განმარტებით) არანაირ მონაწილეობას არ იღებდა წილის ნასყიდობაში და მხოლოდ ფორმალურად შეუდგინა მხარეებს ხელშეკრულება, მას არანაირი ვალდებულება არ ჰქონდა, რომ ნასესხები თანხით მ. მ–საგან გამოესყიდა სადაო წილი". ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის კომპეტენციას სცილდება შეაფასოს ორ ფიზიკურ პირს შორის დადებული გარიგების შინაარსი და მისი სამართლებრივი შედეგები, ამასთან დაადგინოს გარიგების ერთი მხარე რატომ ითხოვდა მეორისაგან უკვე შესყიდული ქონების გამოსყიდვას; ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს გარიგების ნამდვილობის საკითხს და არ ეთანხმება საპროცესო კოლეგიის ვარაუდს გარიგების ნამდვილობასთან დაკავშირებით; ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სამართალწარმოების თავისებურების გათვალისწინებით, არ ხდება კონკრეტული ეთიკური ვალდებულებების გადაცდომის ფაქტების დადგენა, მხოლოდ სავარაუდო დარღვევები აღიწერება, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში, ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს, რომ საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებაში გამოთქმული ვარაუდი არ არის გამყარებული

დასაბუთების მინიმალური სტანდარტით, რის გამოც ამ ვარაუდის შემოწმება და შეფასება შეუძლებელია ადვოკატის ეთიკური ვალდებულების ჭრილში.

6.12 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 2014 წლის 07 ივლისის დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე გადაწყვეტილების 5.8 პუნქტში მითითებულია ვარაუდზე, რომ ,,ადგილი ჰქონდა ადვოკატის მხრიდან კლიენტისაგან წილის შესყიდვას, რაც დაფარული იქნა მისივე ნათესავთან დადებული სხვა გარიგებით. შესაბამისად, კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში ადვოკატ ნ. დ–ს მიერ დარღვეულ იქნა კანონიერების ფარგლებში მოქმედების საფუძვლები.“

6.13 ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში ფუნდამენტური პრინციპია კანონიერების ფარგლებში მოქმედება კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ წინამდებარე გადაწყვეტილების 5.8 პუნქტში მითითებული ვარაუდი არ დადასტურდა განხილვის კოლეგიის სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობით საქმის განხილვისას, მათი განმარტებებითა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე. დადგენილია, რომ ადვოკატმა ნ. დ–მ ქონების ნაწილი შეიძინა მ. მ–საგან. მ. მ. არ არის ადვოკატის კლიენტი, იგი არის ადვოკატის ნაცნობი. მ. მ–მ ადვოკატის კლიენტისაგან შეისყიდა ბინის ½ წილი, ხოლო მ. მ–ს მიერ შეძენილი ქონება, ამ ნასყიდობიდან 3 თვის გასვლის შემდეგ, იყიდა ადვოკატმა ნ. დ–მ. არ დასტურდება ადვოკატ-კლიენტს შორის გარიგება, დაფარული სხვა გარიგებით; ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორს განხილვის კოლეგიის სხდომაზე არ აღუნიშნავს დაფარული გარიგების თაობაზე, არ წარმოუდგენია და ასევე არ მიუთითებია ისეთი მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობაზე, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატ ნ. დ–ს უკანონო ქმედებას. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კანონიერების პრინციპის დარღვევა, ისევე, როგორც სხვა ეთიკური ვალდებულების დაუცველობა დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით და საპროცესო კოლეგიის მიერ დისციპლინური დევნის აღძვრა არის დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების პირველი ეტაპი, რომლის ფარგლებში ეთიკური ვალდებულების დარღვევის საფრთხის არსებობის ვარაუდითაც კი მნიშვნელოვანია დევნის აღძვრა ადვოკატის მიმართ, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება დასაბუთებული საფუძველი, რომელიც გამყარებულია შესატყვისი მტკიცებულებებით.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით, მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის პირველი პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილითა და მე-5 მუხლით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 21-ე, 33-ე, 35-ე, 37-ე მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №038/14 ადვოკატ ნ. დ–ს /სიითი № ——/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.

3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32).

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ციცინო ცხვედიანი/